საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/82

09 ივნისი 2021 წ. ქ. ბათუმი

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ვიქტორია თავაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" ბსუ-ს აკადემიურის საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დებულების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (04.06.2021, ოქმი N27–20/9 და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (08.06.2021 № 535648) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ვიქტორია თავაძის სადისერტაციო ნაშრომის: აჭარაში გავრცელებული ნოზოკომიური ინფექციების გამომწვევი *E.coli*-ის იდენტიფიკაცია და ანტიბიოტიკორეზისტენტობის პროფილის შესწავლა" საჯარო დაცვა დაინიშნოს 2021 წლის 17 ივნისს, 13:00 საათზე, №328 აუდიტორიაში (ბსუ-ს II კორპუსი, მე-3 სართული, ბათუმი, ნინოშვილის №35/რუსთაველის N32).

2. დამტკიცდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი დარგობრივი (ბიოლოგია) სადისერტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   ა) მარინა ქორიძე - ბსუ-ს პროფესორი (ბიოლოგიის დოქტორი), კომისიის თავმჯდომარე;
   ბ) ნანა ზარნაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, (ბიოლოგიის დოქტორი), კომისიის მდივანი;
   გ) ქეთევან დოლიძე – ბსუ-ს პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი;
   დ) მარინა ნაგერვაძე – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი;

ე) **ოთარ ცეცხლაძე** – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი;
ვ) **ეთერ სარალიძე** – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი;
ზ) **ნატო ზოსიძე** – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი;
თ) **გალინა მეფარიშვილი** – ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მცენარეთა დაავადებების მონიტორინგის, დიაგნოსტიკისა და მოლეკულური ბიოლოგიის განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი. ბიოლოგიის დოქტორი;
ი) **ლიანა ქოიავა** –ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მცენარეთა დაავადებების მონიტორინგის, დიაგნოსტიკისა და მოლეკულური ბიოლოგიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი. ბიოლოგიის დოქტორი.

3. ბსუ-ს რექტორის ბრძანება და სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (საჯარო დაცვის თარიღის, დროის, ადგილის, დოქტორანტისა და სადისერტაციო თემის შესახებ).
4. ბრძანება სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ გაეგზავნოს დოქტორანტს და ფაკულტეტის დეკანის ოფისის მიერ განთავსდეს მის პირად საქმეში.
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი ქ. დოლიძე) და მდივანს (ასოც. პროფესორი ნანა ზარნაძე).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი: **მერაბ ხალვაში**